# საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2486

2017 წლის 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

## საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის „ტორზილა ჰესის“ შესახებ დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი „ტორზილა ჰესის“ მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი